საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/19751
09/12/2022

RECEIVED IN BUSINESS SERVICES 12 DEC 2022 RECEIVED IN

19751-2-03-2-202212091124

BTC/incl 6087/22

საქართველოს მილსადენის კომპანიის
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერს
ბატონ იოსებ მეტრეველს

ბატონო იოსებ,

თქვენი 30 ნოემბრის 2022 წლის #BTC/OUT5120/22 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) ობიექტამდე მისასვლელი ადგილობრივი გრუნტის გზის წარეცხვისაგან დაცვის მიზნით, მდ.ცხრაწყაროს ნაპირზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების საკითხს, გაცნობებთ;

პროექტით გათვალისწინებული საამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს მდ. ცხრაწყაროს ჭალა-კალაპოტში უარყოფითი მორფოდინამიკური პროცესების განვითარებას. აქედან გამომდინარე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს საამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

წერილის ნომერი: **24-1623023104**
თარიღი: **23/01/2023**

ადრესატი: შპს მგს-ს საქართველოს ფილიალი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539
მისამართი: ქ. თბილისი, სამგორი, ლილო, ჩიხი იუმაშევი #51-ის მიმდებარედ

შპს მგს-ს საქართველოს ფილიალი

ს/კ 205 168 539

ქ. თბილისი, სამგორი, ლილო, ჩიხი იუმაშევი #51-ის მიმდებარედ

მოგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი ანდეზიტში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რაც მდებარეობს საკადასტრო კოდი: 64.30.03.127- სა და საკადასტრო კოდი: 64.30.03.124 შორის, 60 დღემდე ვადით ისარგებლოს შპს „მგს საქართველოს ფილიალი"-მა, ხოლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ უზრუნველყოს დროებითი სარგებლობის შემდეგ გამოწვეული დანაგვიანების სრულად აღმოფხვრა.

ქეთევანი ლონდარიძე

დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **24-162308062**
თარიღი: **21/03/2023**

ადრესატი: შპს მგს-ს საქართველოს ფილიალი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539
მისამართი: ქ. თბილისი, სამგორი, ლილო, ჩიხი იუმაშევი #51-ის მიმდებარედ

შპს მგს-ს საქართველოს ფილიალი

ს/კ 205 168 539

ქ. თბილისი, სამგორი, ლილო, ჩიხი იუმაშევი #51-ის მიმდებარედ

მოგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი ანდეზიტში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რაც მდებარეობს საკადასტრო კოდი: 64.30.03.127-სა და 64.30.03.124 შორის; 64.30.03.127-სა და 64.10.07.124 შორის, 60 დღემდე ვადით ისარგებლოს შპს „მგს საქართველოს ფილიალი"-მა, ხოლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ უზრუნველყოს დროებითი სარგებლობის შემდეგ გამოწვეული დანაგვიანების სრულად აღმოფხვრა.

ქეთევანი ლონდარიძე

დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო
№5251070

შპს „მგს საქართველოს ფილიალი"-ს დირექტორს
ბატონ პარვიზ ნაჯაფოვს
მის: ქ. თბილისი, ჩიხი იუმაშევი №51;

ბატონო პარვიზ,

თქვენი 2023 წლის 11 იანვრის (შემ. №9007150) განცხადების თანახმად, ხელმოსაწერად გიგზავნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ მომზადებულ ხელშეკრულებას და მის დანართს, ტექნიკურ პირობებს, რომელიც ეხება, ბორჯომის რაიონის სოფ. ანდეზიტში („ცხრაწყაროს სათიბის" მიმდებარედ: ს/კ 64.30.03.126) მდებარე, მდინარე ცხრაწყაროს ნაპირსამაგრი სამუშაოების ზონაში განთავსებული, ქ/ს „ანდეზიტი 35/10"-დან გამომავალი 10კვ ძაბვის ფიდ. „ციხისჯვარი"-ს საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთის ადგილმდებარეობის შეცვლას.

გთხოვთ, არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში მოახდინოთ წინამდებარე წერილზე თანდართული დოკუმენტების ხელმოწერა და მათი წარმოდგენა სს „ენერგო–პრო ჯორჯიაში", წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს მიერ გაკეთებული წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ ჩაითვლება გაუქმებულად.

დამატებით გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი №1-ის შესაბამისად, მოცემული ელექტროგადამცემი ხაზი განეკუთვნება I კლასს და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას, რისთვისაც აუცილებელია, რომ თქვენ გქონდეთ რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია (პროექტი). სს „ენერგო–პრო ჯორჯია" გამოხატავს მზაობას, შესაბამისი ანაზღაურების პირობით მოამზადოს აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია (პროექტი), რომელიც შეტყობინების გარდა აუცილებელია რათა მიიღოთ უფლება ქსელში დაშვებაზე და აწარმოოთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

გთხოვთ შეგვივსოთ სტანდარტული განაცხადი, რომელსაც თან უნდა დაურთოთ თქვენს მიერ შერჩეული მომსახურების ავანსის კომპანიის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის
მიმღები ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი: GE32TB7015336030100006

დანიშნულებაში მიუთითეთ განმცხადებლის და მომსახურების დასახელება.
დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ–გვერდზე: www.energo-pro.ge/ka/service/gamanawilebeli-qselis-gadatana-rekonstruqcia/18

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი.

David Kharshiladze
Digitally signed by David Kharshiladze
Date: 2023.01.18 12:48:31 +04'00'

შემს: შალვა ტაბატაძე / ტელ: 577 35 04 40;

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21056218, 16/06/2021 17:28:49

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომპანია (საქართველო)
სამართლებრივი ფორმა:	უცხოური საწარმოს ფილიალი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204992785
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	5ა/8-138; 27/09/2002
მარეგისტრირებელი ორგანო:	ვაკე-საბ. რ/ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., №24

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: kiphb0@bp.com; agala0@bp.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - აიტენ ჰაჯიევა, C01710939, 0SR527E /აზერბაიჯანი/

დამფუძნებლები

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია, CR-112708 /კაიმანის კუნძულები/

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5175/23**

30 მარტი, 2023 წ.

ბ–ნ ო. არბოლიშვილს
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს

საგანი: **მოთხოვნა სარეკრეაციო ზონაში მოხვედრილ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხე-მცენარეთა მოჭრის შესახებ, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო ოთარ,

მოგახსენებთ, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია საქართველოს“-ს (ს/კ 204992785), BTC პროექტის ფარგლებში, დაგეგმილი აქვს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) ობიექტამდე მისასვლელ გრუნტის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, მდ. ცხრაწყაროს მიმდებარედ გამავალი გზის მონაკვეთზე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა, რომელთან დაკავშირებით ჩვენმა კომპანიამ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნით 2023 წლის 10 მარტს განცხადებით მიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას.

ზემოაღნიშნული ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა კერძო საკუთრებაში არსებულ ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთზე განლაგებული მურყნის (*Alnus barbata*) არაწითელი ნუსხის 4-ინდივიდის მოჭრის საჭიროება და, იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2023 წლის 11 იანვარს გაცემული ინფორმაციის თანახმად, მოქცეულია სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების მუხლი 33^1 მე-2 პუნქტის (ზ), მე-3-პუნქტის, აგრეთვე მუხლი 33^2 მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია საქართველო”, როგორც ამ ნაკვეთის აღნაგობის უფლებით მოსარგებლე, მოგმართავთ თხოვნით შესაძლო მოკლე ვადებში შეითანხმოთ წინამდებარე განცხადებაში მოხსენიებული 4 ხე-მცენარის მოჭრა და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ამასთან, მოჭრილი მერქნული რესურსი გადაეცემა ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, აგრეთვე წარმოგიდგენთ კონტრაქტორი კომპანია შპს „ძელქვა“-ს მიერ ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთზე საველე კვლევის შედეგად აღმოჩენილი 4-ხე-მცენარეთა X და Y კოორდინატების Shp-ფაილების ელექტრონულ ვერსიებსა და მოსაჭრელ ხე-მცენარეთა შესახებ შესაბამის ტექნიკურ ინფორმაციას (იხ. დანართი).

სამუშაოების დაწყება ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთზე კომპანიის მიერ დაგეგმილია, სავარაუდოდ, 2023 წლის 5 ივნისიდან და გაგრძელდება 2023 წლის 1 სექტემბრამდე.

კომპანიის საკონტაქტო პირი: ბ-ნი დავით სახოკია, მობ: 599 18 95 35.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის და დახმარებისთვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს შესახებ;
2) ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ელვერსია (Shp-ფაილები 1 CD);
3) მოსაჭრელი ხე-მცენარეების X და Y კოორდინატების ელვერსია (Shp-ფაილები 1-CD).
4). ს/კ N64.30.03.124 მიწის ნაკვეთის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
5) ინფორმაცია (Excel) მოსაჭრელი 4 ხე-მცენარის რაოდენობის, სახეობებისა და მოცულობის შესახებ;
6) მოსაჭრელ ხე-მცენარეთა შესახებ შეჯამებული ინფორმაცია;
7) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს განცხადება ს/კ N 64.30.03.124 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ;
8) ხე-მცენარეთა ამსახველი სურათები;
9) ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 მთავრობის დადგენილებიდან.